დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბ-ნ პაატა ყულიაშვილს

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (ამომრჩეველთა)

პ ე ტ ი ც ი ა

(დმანისის მუნიციპალიტეტის ოროზმანის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ)

პეტიციის წარმდგენები (მომხსენებლები):

ბინნათ ისკანდაროვი
მცხოვრები: დმანისი, ს. ზემო ოროზმანი

საკონტაქტო ტელეფონი: 557 43 33 67
ელ.ფოსტა: binnat.iskandarov@gmail.com
ქამრან ალიევი
მცხოვრები: დმანისი, ს. ქვემო ოროზმანი

საკონტაქტო ტელეფონი: 592 23 81 38
ელ. ფოსტა: Kamran.aliyev928@gmail.com

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ბავშვებისთვის მიწოდება. მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან უფასო კვებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ოფიციალური მონაცემებით, დმანისის მუნიციპალიტეტში 9 საბავშვო ბაღია. თუმცა, არც ერთი მათგანი ფუნქციონირებს ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებულ ფუნქტებში. ოროზმანის თემიდან სკოლამდელი ასაკის ბავშვების ძალიან მცირე პროცენტი იღებს სკოლამდელი და ადრეული განათლების სერვისს ქ. დმანისში არსებულ საბავშვო ბაღებში. აქედან გამომდინარე,დმანისის მუნიციპალიტეტის ოროზმანის ადმინისიტრაციულ ერთეულში მცხოვრები ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობისათვის სკოლამდელი

განათლება ხელმიუწვდომელია. ხსენებულ რეალობას ისიც ართულებს, რომ მშობლები საკუთარი რესურსების ხარჯზე დაჰყავთ ბავშვები ქ. დმანისში და რასაკვირველია, ყველა ვერ ახერხებს ტრანსპორტირების უზრუნველყოფას თავისი ხარჯით. მეორე მხრივ, ქ. დმანისში არსებული საბაშვო ბაღების რესურსებიც არარელევანტურია ოროზმანის თემის სკლამდელი ასაკის ბავშვების რაოდენობასთან. ამჟამად, ოროზმანის თემში 80-ზე მეტი სკოლამდელი ასაკის ბავშვია.

მოგეხსენებათ, რომ ოროზმანის ადმინისტრაციულ ერთეულში 5 სოფელია გაერთიანებული- ქვემო ოროზმანი, ზემო ოროზმანი, მთისძირი, ვაკე და დალარი. პირველი 4 სოფელი ძალზედ ახლოს მდებარეობს ერთმანეთთან და ეს შესაძლებელს ხდის, რომ ამ ადმინისტრაციულ ერთეულში ასაშენებელი საბავშვო ბაღი ოთხივე სოფელს მოემსახუროს. ხოლო სოფელ დალარის ბავშვებისათვის კი ტრანსპორტირება უზრუნვლეყოფილი უნდა იქნას, რადგან დალარი ძალზე შორს მდებარეობს დანარჩენ 4 სოფელთან.

სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს მოზარდების კოგნიტური, სოციალური, ლინგვისტური უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. საბავშვო ბაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვებში სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისა და პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებაში, ქცევითი პრობლემების რისკს ამცირებს, მშობელთა დასაქმებას უწყობს ხელს. სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის და ყველა ბავშვისთვის, როგორც მოქალაქეებისთვის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 - 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო ენის შესწავლის ყველაზე ეფექტური გზა მისი სკოლამდელი განათლების საფეხურიდან დაწყებაა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის <u>მონაცემებით</u>, ქვემო ქართლის რეგიონში 176 417 ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, საიდანაც 82,9 %, 146 276 ადამიანი თავისუფლად არ ფლობს ქართულ ენას.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ, 2022 წლის აგვისტოში საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხად სასმელი წყლით მომარაგებასთან და გზებთან ერთად, საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობაა დასახელებული.

საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69,5 %-ია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 33%-ია, რაც ევროპულ სამიზნე ნიშნულზე, 95 %-ზე ბევრად ნაკლებია.

ჩვენ, წინამდებარე პეტიციაზე ხელმომწერ პირებს მიგვაჩნია, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის ოროზმანის ადმინისტაციულ ერთეულში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნით, მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფით, ოროზმანის თემში მცხოვრები ბავშვები შეძლებენ საყოველთაო, უფასო და სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზებას.

მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება და მისი ერთ-ერთი ფუნქციაა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ:

დაარეგისტრიროთ წინამდებარე პეტიცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოთ მასში დაყენებული საკითხის (დმანისის მუნიციპალიტეტის ოროზმანის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ) განხილვა-გადაწყვეტა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის შესაბამისად.

დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი პირის - ბინნათ ისკანდაროვი საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი);
2. პეტიციის წარმდგენი პირის - ქამრან ალიევი საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი);
3. პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების (სულ 306 პირის) სია;

ბინნათ ისკანდაროვი .....

ქამრან ალიევი .....